# სანდრო შანშიაშვილს

შენ – ალაზანის ბერმუხავ, ქართა ბუდეში გაზრდილმა,
ბერო და მაინც მაგარო, მოსჭერ ჩუქურთმა ქართული–
ლექსის მეზვრეო, მერთვლეო, ნათელი სიმი ჩვენი მზის,
ნაღვაწო, ნაამაგარო გულში გაქვს ამოხლართული!

ძველი მუხების ნერგი ხარ, შენს ძმობას გულში ვაძველებ,
გომბორის ტევრში ჩარგული, დღეს გხვდები თაიგულითა,
შენ გზრდიდა ილიას ჩანგი, ძმაო, სულ ჟღერდეს სიტკბოთი,
ვაჟას ჩარგლური ჩანგური. რაც ამოირხა გულიდან!

ხმანამწარევი წარსული, გამფრთხალან ყრმობის ირმები,
წინაპარ გმირთა რიალი შენც მოგეპარა ჭაღარა,
შენ სალამერით მოხკელი, მაგრამ პირიმზე გიყვავის,
ვაზის და ყანის შრიალით. გულში გუგუნებს ნაღარა!

კახურ ყამირის ყვავილნი ისევ გვასმინე ჰანგები,
დაასდნენ შენს წიგნში ლექსებად, ტკბილო და ომახიან,
ლექსით დაკოცნე სამშობლო სულ მხრებზე გეჯდეს სიმღერით
დღეს რომ შენ გეალერსება! ბულბული ოქროს ხმიანი,

ადიდე ქართლი, კოლხეთი, ისევ ამღერე ხალხურად,
ალაზანი და რიონი, ყამირის ხმაო ძლიერო!
ხალბი და დიდი ბელადი, გკოცნი, გილოცავ,

დღეების სანატრიონი!

სამშობლომ,

დე, ლექსი

გიბედნიეროს!